ცნობის ფურცელი

№ 1992 შაბათი, 23 ნოემბერი 1896—1902 ყოველ-დღიური გამოცემა № 1992

ხაზეთის ფასი: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კანტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და ქ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებ.ს გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

მიიღება ხელის მოწერა **1903** წლისათვის

„მოამბე-ცნობის ფურცელ“-ზე

სურათებიანის დამატებით კვირაში ორჯელ

ყოველ თვიური ჟურნალი

„მოამბე“

(წელიწადი მეათე)

ფასი ჟურნალისა:

კავკასიასა და რუსეთში:		საზღვარ-გარედ:	
1 წლით	10 მ.	1 წლით	13 მ.
6 თვით	6 „	6 თვით	7 „
3 „	3 „	3 „	5 „

ყოველ დღიური გაზეთი

„ცნობის ფურცელი“

ორის სურათებიანის დამატებით

(წელიწადი მერვე)

ფასი გაზეთისა გაგზავნით:

კავკასიასა და რუსეთში:		საზღვარ-გარედ:	
1 წლით	6 მ.	1 წლით	9 მ.
6 თვით	4 „	6 თვით	5 „
1 „	75 კ.	1 „	90 კ.

ვინც **„მოამბეს“** მთელის წლით გამოიწერს, **სურათებიანი დამატებანი** და **„ცნობის ფურცელი“** უფასოდ გაეგზავნება, მხოლოდ ქალაქ გარედ გასაგზავნ ფოსტის ხარჯისათვის უნდა დაუმატონ 1 მან., რომელიც ხელის-მოწერისათანავე უნდა იქმნეს შემოტანილი.

წლიურ ფასის განაწილება ორივე გამოცემაზე:

პირველად—6 მ. ქალაქ-გარედ მცხოვრებთათვის, და 5 მან. ტფილისელთათვის, 1-ლ მარტამდე—3 მ., 1-ლ აგვისტომდე—2 მან.

განცხადების ფასი: 1-ლ გვერდზე სტრიქონი—10 კ., მე-4-ზე —5 კაპ. თუ განცხადება 3-ჯერზე მეტად დაიბეჭდება, მაშინ დაბეჭდვა ნაკლებად ეღირება.

რედაქცია და **კანტორა** იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე. **ტელეფონი № 372.**

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Моамбе“ и „Цнобисъ-Пурцели“.

წარმოდგენა 17. ტელეფონი 617

✡ იაფ-ფასიანი წარმოდგენა ✡

ქართული თეატრი

კვირას, 24 ნოემბერს, 1902 წელს

◆ მეშვიდე **იაფ-ფასიანი** წარმოდგენა ◆

ქართულ დრამატიულ დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

◆ **დაკლებულის ფასებით** ◆

I

უბედურ

ვარსკვლავზე

ესპანიურ. თანამედროვე დრამა 3 მოქმ. კანო—ი—მაზასისა.

II

ბაქი-ბუქი

კომედია 2 მოქ. ლაბიშისა, გადმოკეთებ. ან. თუმანოვ-წერეთლის მიერ.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი: ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ნ. გამყრელიძისა, ალ. კარგარეთელი, ოლ. ლეჟავა, რიონელი, როსტომაშვილი; ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, დ. აწყურელი, ვ. გამყრელიძე, გ. გედევანოვი, ვ. გუნია, ი. ივანიძე, კ. მესხი, ს. სვიმონიძე, კ. შათირიშვილი, ქლენტი და სხვ.

ადგილების ფასი: ლოჟები 4 მ-დან 8 მანეთამდე, პარტერი 50 კ-დან 1 მ. 50 კ-მდე, ამფითეატრი 60 კ-დან 1 მ-მდე, გალერეა 25 კ-დან 45 კ-მდე. შეგირდებისათვის ადგილები 40 კაპ.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

მზადდება წარმოსადგენად **„ოთხშაბათის მკვლელობა“**, (ბენეფისი კ. მესხისა ეფემია მესხის მონაწილეობით), **„გრიგალი“**.

რეჟისორი **ვალ. გუნია.**

ექიმი

ალექსანდრე გიორგის ძე

მაღალაშვილი

(მიხეილის ქუჩა, 30.—ტელეფონი 450).

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშო სნეულებით ავადმყოფებს დილით 10—1 საათამდე და საღამოთი 6—8-მდე.

ექიმი

ვ. ს. მუსხელაშვილი

მიიღებს თვალებით ავადმყოფებს დილით 12—2 ს. ყოველ დღე, გარდა სამშაბათისა. წყნეთის ქუჩა № 24 სახ. ვაჩნაძისა. (წ).

ტფილისის კერძო სამკურნალო

გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე,

დილით:

გ. ი. ჩიჩინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

ნ. ტ. მულინი. ყურის, ყელის და ცხვირის 9—10.

გ. დ. ლამბაშიძე—შინაგანი 9—10 საათამდე.

ა. ზ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათამდე.

ლ. ი. ქამოევი.—საშარდე (ქირურგიული), ავადმყოფობისათვის: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 10 საათიდან 11-მდის.

დ. ა. გედევანიშვილი, შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

გ. მ. მანსვეტოვი. შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა: სამშაბათობით და პარასკევობით 1—2 კვირაობით 10—11.

ა. ზ. ბარხუძოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით 12—1 საათამდე.

ზ. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1—2 საათამდე.

პრ. მ. ხოზოლევსკი—ქირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით 1—3 საათ.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი 5—6 საათამდე.

ა. ზ. მაღალაშვილი—შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.) მასაჟი და სამედიცინო გიმნასტიკა“ ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით 6 ს.—8 საათ. საღამოს.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრაოტები—სამი მანეთიდამ ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი სიგინაშვილისა, № 21. (ავჭალის ქუჩის დასაწყისში).

ტელეფონი № 274. (წლ.)

კბილის ექიმი

ივანე პავლეს ძე

ახალშენიშვილი

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდის, ხოლო საღამოობით 5—7-დის. კვირა-უქმე-დღეებში 9—2-დის და საღამოთი 5—7-დის.

ელისაბედის ქუჩა, № 38. (წლ.)

ექიმი

გ. ლამბაშიძე

იღებს შინაგან და საბავშო ავადმყოფებს დილის 10—11 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე.

ბინა: ბარონის ქუჩა, № 22, დიდი ვანქის ქუჩის კუთხესთან. ტელეფონი 642.

საზღვარ-გარედ

საფრანგეთი. პალატამ სამუდამო კომისიების წევრებად სულ მთავრობის მომხრეები აარჩია. ოპოზიციის გაზეთები მწარედ სჩივიან, უმცირესობის წარმომადგენელთაგანი თითქმის არავინ მოჰყვა კომისიებშიო.

მართლაც ძლიერ ცოტა ადგილი შეჰხვედრია ოპოზიციას. ყოველ კომისიაში 33 წევრის ადგილია. აქედან აი რამდენი ადგილი ერგო ოპოზიციას: სატამოჟნო კომისიაში—3 ადგილი, შრომის კომისიაში—3, დაზღვევის კომისიაში—1, სასოფლო-სამეურნეოში—3, რკინის გზებისაში—3, სასამართლოების რეფორმის კომისიაში—4, ჯარისაში—3 და ფლოტისაში—1 ადგილი. ოპოზიციის გამოჩენილ წევრთაგან ბევრიც გაშავეს: მელინი სატამოჟნო კომისიაში არ აირჩიეს; სამხედრო მინისტრად ნამყოფი კრინცი—ჯარის კომისიაში არ აარჩიეს, კოლონიების მინისტრად ნამყოფი გილენი—რკინის გზების კომისიაში და სხვ. ამნაირი ნაყოფი არჩევნისა მით უფრო სავალალოა ოპოზიციისათვის, რომ თითონვე ხელი შეუწყო თავის დამარცხებას: ოპოზიცია, რაც კი შეეძლო, წინააღმდეგობას უწევდა უმეტესობას, რომ სამუდამო კომისიები მთელ პალატას არ აერჩია და კენჭის ყრა სიით არ მომხდარიყო. უმეტესობამაც აასრულა ოპოზიციის სურვილი. კომისიის წევრები წინანდებურად ბიუროებში აარჩიეს. მთავრობის უმეტესობამ წინადვე მოილაპარაკა, თავის კანდიდატების სია შეადგინა და თითქმის ყველანი უკლებლივ აარჩია. სულ სხვა იქნებოდა, არჩევანი რომ უმეტესობის სურვილის თანახმად მომხდარიყო: ამ შემთხვევისათვის მთავრობის მომხრე დასმა ყოველი კომისიის ადგილები თითონვე გაანაწილა პარლამენტის უმეტესობისა და უმცირესობის შუა ამათ რიცხვის დაგვარად. ასე რომ ოპოზიციამ ძლიერ წააგო.

◆ ემბერების საქმის გამომძიებელმა ცნობილი ჟურნალისტი როშფორი დაიბარა სალაპარაკოდ. როშფორმა „ინტრანსიჟან.“-ში გამოააშკარავა, ამ საქმეში ზოგიერთი ცნობილი პირიც ურევიაო. სხვათა შორის, როშფორმა გაკვრით ისიც დასწერა, რომ ცნობილი მილიონერი ქალი ქ-ნი ლებოდი ემბერებს დიდძალ ფულს აძლევდა ხოლმე შესანახად, რომ ამით ქ-ნ ემბერის მოვალეები დაეძინებინაო. „მატენ“-ი ამტკიცებს, იმ მოსამართლეებს, ვინც ემბერების საქმეებს აწარმოებენ, ამ დღეებში მოლაპარაკება ჰქონდათ ერთ ელჩთანაო. აქედან შეიძლება ვიფიქროთ, რომ მოსამართლეებმა განთქმულ ქ-ნ ემბერის ბინას მიაგნეს.

◆ სამხედრო მინისტრმა ანდრემ გამოუცხადა სამხედრო არსენალების მუშების დეპუტაციას: 8 საათის სამუშაო დღის მომხრე ვარო და ამ ჟამად ვფიქრობ, თუ სამხედრო სამინისტროს დაწესებულებაში რანაირად შემოვიღოთ 8 საათის მუშაობაო.

შეერთებული შტატები. კუნძულ კუბაზე ქალაქ ჰავანაში წარსულ კვირას მუშებს დიდი არეულობა მოუხდენიათ. საქმე ასე ყოფილა:

ამას წინად ჰავანის მესიგარე მუშებმა გაფიცვა მოახდინეს. მესიგარეები თანახმანი იყვნენ ფაბრიკის პატრონებთან მორიგებაზე მოლაპარაკება გაემართათ, მხოლოდ იმ პირობით-კი, რომ პატრონებს საქმე მარტო მუშების კომიტეტთან უნდა დაეჭირათ. მაგრამ ფაბრიკის პატრონებმა უარი შეუთვალეს: მუშების კომიტეტთან არას დროს არ გავმართავთ მოლაპარაკებასაო. მაშინ ჰავანის მუშების ტრედ-უნიონებმა გამოაცხადეს, ორშაბათიდან საყოველთაო გაფიცვა მოვახდინოთ და ამით მესიგარე მუშებს თანაგრძნობა გამოუცხადოთო. არეულობა იმით დაიწყო, რომ რამდენმამე ათასმა მუშამ ერთ უბანში ელექტრონულ ტრამვაის ვაგონების გაჩერება მოინდომეს. ვაგონები რელსებიდან გადააგდეს, მუშები დაუმსხვრიეს და კონდუქტორებსაც სცემეს. ხალხი ყვიროდა: „დაიღუპნენ ამერიკელები!“ (კუბაზე კაპიტალისტები სულ ამერიკელები არიან), ვაგონების მოძრაობა ძალა-უნებურად შეაჩერეს დროებით. პოლიცია სუსტად მოქმედებდა, რადგანაც ქალაქის თვით-მმართველობის მოხელეები გაფიცულ მუშებს თანაუგრძნობენ; რამდენისამე კვირის წინად ჰავანის პოლიციის უფროსიც დაითხოვეს იმაზე, რომ ბრძანება მიეცა გაფიცულ მუშების წინააღმდეგ იარაღი იხმარეთო. რადგანაც უწესოება ძლიერდებოდა, ამიტომ სოფლის პოლიცია დაიბარეს, მაგრამ საქალაქო მოხელეებმა უარი უთხრეს ამ პოლიციას: თქვენი შემწეობა საჭირო არ არისო. საღამომდე 10 კაცი მოჰკლეს და სასიკვდილოდ დასჭრეს, 120 კაციც ისე დაშავდა, რომ საავადმყოფოში წაიყვანეს. როცა შეერთებულ შტატების ელჩმა სკვაირსმა კუბის პრეზიდენტს პალმას ამ არეულობის გულისათვის პროტესტი გამოუცხადა, პალმამ უპასუხა: უწესოებას უსათუოდ მოვსპობთ, რაგინდ დიდი მსხვერპლიც მოჰყვეს ამ მოსპობასაო. სამშაბათს წესიერება აღადგინეს. მეორე დღეს მუშებმაც გადასწყვიტეს, მუშაობა დავიწყოთო.

ინგლისი. ლიბერალური პრესა ბოლოს დროს გულ-მხურვალედ ამტკიცებს, საჭიროა ლიბერალურ პარტიის ორსავე ჯგუფის მეთაურებმა თათბირი გამართონ და მოქმედების საერთო პლანი შეიმუშავონ მორიგ საქმეებისათვისაო.

„დეილი ნიუს“-ში ვინმე „ლონდონელი ლიბერალის“ წერილი დაიბეჭდა. ლიბერალი სწერს: „ლიბერალურ დასს საფუძველი მაგარი აქვს, მაღლა კი სიმტკიცე აკლია; ეს იქიდანაც სჩანს, რომ ჩვენი დასი არჩევნებში ხშირად იმარჯვებს, პარლამენტში კი სულ დამარცხებული გამოდის. ასე არასდროს არა ყოფილა საჭირო, როგორც ეხლა, რომ ლიბერალების მეთაურებმა ერთმანერთთან მოლაპარაკება გამართონ ხოლმე. ლიბერალურ დასის მეთაურებად ჩვენ ვსთვლით—კემპბელ-ბანერმანს, ლორდ სპენსერს, ლორდ გარინგტონს, ასკიტს, ლორდ ტვიდმაუტს, მორლეის, ედვარდ გრეის, ჰერბერტ გლადსტონს, ბრაისს, ჰარკორტს, ფოულერს და, მე მინდა დავუმატო,—ლორდ როზბერისაც. საჭიროა, ეს კაცები, რაც კი შეიძლება, ხშირად იკრიბებოდნენ სათათბიროდ და საერთო პლანის შესამუშავებლად. უამისოდ ლიბერალი დეპუტატები საცოდავ მდგომარეობაში არიან. ვერც ის გამიგია, თუ ლიბერალების მეთაურებმა რატომ უფრო მჭიდროდ არ უნდა დაიახლოვონ იმისთანა კაცები, როგორებიც არიან მუშების წინამძღოლი ჯონ ბერნსი, ან ნიჭიერი და მჭევრმეტყველი რადიკალი დეპუტატი ლოიდ ჯორჯი. სათათბიროდ ეს მოღვაწეებიც უნდა მიიწვიონ ß იმათი ძალა და ნიჭი ლიბერალურ პროგრამის შესადგენად მოიხმარონ. ჩვენს მეთაურებს ნიჭი არ აკლიათ, ეგ არის, რომ ერთი პირი არა აქვთ და ერთმანეთის დათმობა არ იციან.“

◆ კონსერვატორების გაზეთი „სტანდარტ“-ი ამტკიცებს, ლორდ სოლსბერი ინგლისში იმისთვის ბრუნდება, რომ სასკოლო ბილის დამტკიცებას ლორდთა პალატაში ხელი შეუწყოსო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

✦ სავაჭრო პალატის ნადიმზე კროიდონში ხაზინის კანცლერმა (ფინანსთა მინისტრმა) რიჩიმ სიტყვა წარმოსთქვა და გამოაცხადა: თუ საჭირო იქნება, მთავრობა მზადაა კიდევ გაუწიოს ფულით შემწეობა ტრანსვაალსა და ორანჟეს კოლონიასო, ოღონდ კი სამხრეთ-აფრიკაში მშვიდობიანობა და თანხმობა დამყარდეს, რადგანაც ხალხის კეთილდღეობა ამ მშვიდობიანობასა და თანხმობაზეა დაფუძნებულიო. მერე მინისტრმა ასე განაგრძო:

„ზოგიერთნი ამბობენ, ტრანსვაალსა და ორანჟეს კოლონიას დიდი ფული უნდა გამოვართვათ იმ ხარჯების გასასტუმრებლად, რაც ინგლისს წყეულ ომის დროს მოუვიდაო. მაგრამ ეს ტყუილი აზრია; ინგლისი ძლიერ შესცდებოდა, კოლონიებისათვის დიდი სამხედრო ხარჯი რომ დაედო; ეს ხარჯი ბოლოს მოუღებდა კოლონიების კეთილდღეობას. ჩვენთვის სამხედრო ხარჯზე იმ იმედს უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ მომავალში სამხრეთ-აფრიკა ჩვენ მეფაბრიკეებისა და ვაჭრებისათვის დიდ ბაზრად გახდეს; ეს იმედი კი მხოლოდ იმ შემთხვევაში ასრულდება, თუ სამხრეთ-აფრიკას თავის ბუნებრივ სიმდიდრის გაძლიერებას შევაძლებინებთ“.

დასასრულ მინისტრმა უთხრა მსმენელებს: იმედი მაქვს, მომავალ ბიუჯეტში (აპრილში შეიტანენ დეპუტატთა პალატაში) ცოტაოდნად მაინც მოვახერხებ გადასახადების შემცირებასო.

ახალი ამბავი

✦ გუშინ, 22 ნოემბერს, ალექსანდრენეველის სამხედრო ტაძარში, მისის იმპერატორებით უმაღლესობის ხელმწიფე მემკვიდრის დიდის მთავრის მიხეილ ალექსანდრეს ძის დაბადების დღეს, საქართველოს ეგზარხოსმა ალექსიმ გორის ეპისკოპოსისა და სამღვდელოების თანამწირველობით გადაიხადა წირვა და შემდეგ პარაკლისი. დაესწრნენ კავკასიის მთავარ-მართებლის თანაშემწე, ტფილისის გუბერნატორი, ჯართა კორპუსის უფროსები, გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი, ქალაქის მოურავის მოადგილე, გენერლობა და სხვანი. დღისით ქალაქი მორთული იყო ბაირაღებით, ხოლო საღამოთი გაჩირაღდნებული.

✦ გუშინ ბორჯომიდან ტფილისს ჩამოვიდა მისი **იმპერატორებითი უმაღლესობა დიდი მთავარი** გიორგი მიხეილის ძე უავგუსტოესის მეუღლით მარიამ გიორგის ასულით და ჩამოხტა მთავარმართებლის სასახლეში.

✦ 24 ნოემბრისთვის დანიშნულია კერძო სხდომა ტფილისის საბჭოს ხმოსანთა ქალაქის მოურავის თანამდებობაზე **კანდიდატების დასასახელებლად**. როგორც შევიტყვეთ, კანდიდატებად ასახელებენ ერთი ჯგუფი კ. მ. ალიხანოვს, მეორეც—თავ. ა. მ. არღუთინსკი-დოლგორუკოვს და მესამე—თავ. ვ. ს. მიქელაძეს. ასახელებენ აგრეთვე ბაქოს ქალაქის მოურავს ბ-ნ ნოვიკოვს.

✦ „**ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების**“ გამგეობამ გადასწყვიტა ჩვეულებრივი ყოველწლიური კონცერტი გამართოს 21 მომავალ დეკემბერს. კონცერტის გამართვა თავს იდვეს კნ. ოლ. თ. ჭავჭავაძისამ, მარ. სარაჯიშვილისამ, მარ. ზ. და ეკატ. რ. გაბაშვილებისამ. კონცერტში მონაწილეობას მიიღებენ ბ-ნი ნიკოლაევი, ვასილიევი და სხვა საუკეთესო დამკვრელნი პიანინოსა და სკრიპკაზე და საუკეთესო მომღერალნი.

✦ ხუთშაბათს, 21 ნოემბერს, მიწათმოქმედების მინისტრის რწმუნებულის კანცელარიის სადგომში გადახდილ იქმნა პანაშვიდი სამეურნეო დეპარტამენტის დირექტორის **ივ. ივ. ფიშეევის** სულის მოსახსენებლად. პანაშვიდს დაესწრნენ მთავარ-მართებლის საბჭოს წევრი მიცკევიჩი, მიწათმოქმედების მინისტრის რწმუნებული ბ-ნი მედვედიევი, აგრონომები, ინსტრუქტორები და სხვანი.

✦ 20 და 21 ნოემბერს ტფილისის ოლქის სასამართლომ განიხილა საქმე **სომხურ გაზეთის** „ნორ-დარის“ რედაქტორის ბ-ნ სპანდარიანისა. სასამართლომ სპანდარიანი უდანაშაულოდ იცნო.

✦ გუშინ-წინ ტფილისის **ხაზინის ინსტიტუტის** დირექტორმა სთხოვა ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის დეპუტატთა საკრებულოს, დახმარება აღმოუჩინოს თავად-აზნაურობამ ინსტიტუტს და რამდენიმე სტიპენდია დანიშნოს. დირექტორი ატყობინებს, რომ ინსტიტუტში ბევრ ღარიბ თავად-აზნაურის ქალი სწავლობსო. დეპუტატთა საკრებულო ამ წინადადებას მალე განიხილავს.

✦ 20 ნოემბერს, საღამოს 10 საათზე, ქარელის მახლობლად, ამიერ-კავკასიის რკინის გზის მე-195 ვერსზე, როდესაც საქონლის მატარებელი №-161 აღმართზე ნელა მიდიოდა, უკანასკნელ ვაგონებზე შემხტარა რამდენიმე **შეიარაღებული კაცი**. ერთნი კონდუქტორს ფედენკოს მიჰპარვიან და ყელში წაუჭერიათ, მეორეებს ვაგონებიდან რამდენიმე სავსე ტომარა გადაუგდიათ. შემდეგ ყველანი გადამხტარან. ტომრებში კაკალი ყოფილა. ქურდები ვერ დაიჭირეს.

✦ ორშაბათს ტფილისის **ქალაქის საბჭოს კრებას** განსახილველად წარედგინება 27 საქმე. 14 საქმე ძველია, დანარჩენი ახალი. სხვათა შორის, ამ კრებაზე საბჭომ უნდა დაუნიშნოს ჯამაგირი მოურავს, გამგეობის წევრებს და მდივანს. ამავე კრებაზე მოხდება არჩევნები აღმასრულებელ კომისიის წევრებისა—საფინანსო, სასწავლებელთა და სხვა კომისიისა.

✦ ტფილისის ქალაქის გამგეობას აზრადა აქვს **საკუთარი სტამბა** გამართოს. პროექტი ამ სტამბისა გამგეობამ უკვე შეიმუშავა.

✦ ტფილისის საგუბერნიო გამგეობის ამშენებელ განყოფილებაში ხელ-ახლა აღიძრა ლაპარაკი **გორში** მდ. მტკვარზე ახალის კარგის ხიდის აგების შესახებ. უკვე დაამთავრეს იმის გამოკვლევა, თუ სად უნდა გაკეთდეს ახალი ხიდი.

✦ დიხაურის საზოგადოების მამასახლისი პ. ცინცაძე და ადგილობრივ ორკლასიან სკოლის მასწავლებელი ბ. მენაბდე გვთხოვენ დავბეჭდოთ: „უღრმესს მადლობას უცხადებთ დიხაურის ორკლასიან სკოლის საპატიო მზრუნველს კაპიტანს ბებურ გურგენისძე ბებურიშვილს, რომელმაც იყიდა 400 მანეთად და შემოსწირა სკოლას მომავალ სამეურნეო განყოფილებისათვის სამქცევა ნახევარი საუკეთესო მიწა, მდებარე სკოლის მახლობლად, და ქ-ნ ნინა მგელაძისას ვასაძის ასულს, რომელმაც დაუთმო ბ-ნ ბებურიშვილს ზემოხსენებული მიწა 400 მანეთად, თუმცა კი ამა ადგილის 600 მანეთად ყიდვის მსურველი ბევრი იყო. ადგილობრივი დირექციაც მოწადინებულია სამეურნეო განყოფილების დაარსებას და თავის მხრივ შემწეობას გვპირდება“.

✦ 20 ნოემბერს, ღამის 1 საათზე, ცეცხლი გაუჩნდა ტფილისის საბადოსნო სკოლის შენობას. სკოლის მასწავლებელ-მებაღეს ფოკელს უპატრონოდ დაუტოვებია თავისი ოთახი; ამ ოთახში ისე გახურებული ყოფილა ბუხარი, რომ იქვე ჩამოკიდებულ ნაბადს მოსდებია ცეცხლი. ნაბადიდან ცეცხლი მოსდებია იატაკს. ცეცხლის გაჩენა მალე შეუტყვიათ და შინაურულ საშუალებითვე ჩაუქრიათ. როგორც სკოლის გამგეს ივანოვს განუცხადებია, მასწავლებლის ქონების გარდა ცეცხლისაგან სკოლას ზარალი მოსვლია 800 მანეთამდე. შენობა დაზღვეული ყოფილა „ნადეჟდა“-ს საზოგადოებაში 39,600 მანეთად. პოლიციამ გამოძიება გადასცა მე-3 ნაწილის მომრიგებელ მოსამართლეს ფოკელის პასუხის გებაში მისაცემად გაუფრთხილებლობისა გამო.

✦ ამ რამდენისამე დღის წინად სამოსამართლო პალატამ გაარჩია საქმე ქუთაისის გუბერნიის მცხოვრების პორფირე ბაღდავაძისა, რომელსაც ძმის მოკვლა ჰბრალდებოდა. ქუთაისის ოლქის სასამართლოს, გაურჩევია რა ეს საქმე, უდანაშაულოდ უცვნია ბაღდავაძე. ბრალმდებლის ამხანაგს საქმე გადმოუტანია პალატაში. პალატამ დაამტკიცა ოლქის სასამართლოს განაჩენი.

✦ გუშინ, 22 ნოემბერს, პოლიცმეისტერის თანადასწრებით კრება ჰქონდა იმ კომისიას, რომელსაც ტრაქტირებისათვის სავალდებულო დადგენილების შემუშავება აქვს მინდობილი. დიდი ნაწილი დადგენილებათა უკვე შემუშავებული და განხილულია. ამ დღეს კომისიამ სხდომა მიანდომა სასანიტარო ინსპექტორის წინადადების განხილვას,—სასანიტარო ზედამხედველობის შესახებ ტრაქტირებში.

✦ ბ-ნმა ალექსანდრე ყიფშიძემ თავისი თხზულების „მთიულეთის„ მთელი შემოსავალი შესწირა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“.

✦ კასპიდან გვატყობინებენ: 20 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე, რკინის გზის სახელოსნოებში მომუშავე არტემ ღებრიშვილი ვაგონიდან ჩამოვარდა, როდესაც მატარებელი მიდიოდა, და დაეშავდა ხელი. დაშავებული ტფილისის სავადმყოფოში გაჰგზავნეს.

✦ სამოსამართლო პალატაში დღეისთვის, სხვათა შორის, განსახილველად დანიშნულია საქმე ილარიონ გიგიაძისა, რომელსაც კაცის მოკვლის განზრახვა ჰბრალდება.

✦ ტფილისის მოქალაქეთა რწმუნებულების საზოგადო კრებამ 21 ნოემბერს გადასწყვიტა ფულით შემწეობა აღმოუჩინოს მოქალაქეთა გამგეობის ყოფილ მოხელეებს ავ. ვეჩერლოსა, გრიგოლ ბაბიჩევსა და ალ. ლაპატინს.

დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

ქუთაისი, 22 ნოემბერს. მიწათ-მოქმედების და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს განკარგულებით, ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა საზოგადო კრება დაინიშნა მომავალ წლის 7 იანვრისათვის.

ქუთაისის ახალი ამბები

✦ ქუთაისის საკვირაო სკოლის მასწავლებლებმა სთხოვეს ქუთაისის საეპარქიო სასწავლებელთა საბჭოს, ნება დართოს დაარსონ ქუთაისში საკვირაო სკოლის მოწაფეთა დამხმარებელი საზოგადოება.

✦ წიგნების გამომცემელ ქუთათურ ამხანაგობის კიოსკი იღებს ხელის მოწერას ყოველგვარ ჟურნალ-გაზეთზე როგორც სხვა-და-სხვა დაწესებულებათა, ისე კერძო პირთაგან. ექვსის მანეთის ჟურნალ-გაზეთები უკვე შეუკვეთეს გამოსაწერად. კარგს იზამს საზოგადოება, თუ კიოსკს შეუკვეთავს ჟურნალ-გაზეთების გამოწერას: ამით თვითონაც მეტს ხარჯსა და შრომას აიცილებს თავიდან და ამხანაგობასაც ცოტა რასმე დაეხმარება.

რუსეთის ქრონიკა

✦ საერო განათლების სამინისტრომ დაამტკიცა დებულება მასწავლებელთა სარაიონო წიგნთ-საცავების შესახებ. ასეთი წიგნთსაცავები უნდა დაარსდეს პირველ-დაწყებით სასწავლებლებთან. შესანახი ხარჯი უმთავრესად უნდა გაიღოს საერო განათლების სამინისტრომ. მიიღება აგრეთვე შემოწირულებანი წიგნებითა და ფულით. ამას გარდა წიგნთ-საცავების სასარგებლოდ გაიმართება საჯარო ლექციები, კონცერტები და სხვანი. წიგნთ-საცავებიდან წიგნების უსასყიდლოდ წაღება შეეძლებათ მასწავლებელ ქალთა და კაცთ. წიგნთ-საცავები დირექტორებისა და ინსპექტორების ზედამხედველობის ქვეშ იქნება. გამგეობა ერთ-ერთ მასწავლებელს მიენდობა.

✦ მოსკოვში, როგორც მკითხველებს მოეხსენებათ, არსებობს სტუდენტთა დამხმარებელი საზოგადოება. ყოველ წელიწადს ეს საზოგადოება დიდ-ძალ ფულსა ჰხარჯავს შეუძლებელ სტუდენტების დასახმარებლად. ფულ აძლევს სტუდენტებს იმ პირობით, რომ შემდეგ, როდესაც ცხოვრებაში შევლენ, დააბრუნონ, მაგრამ დაბრუნებისთვის არავინა ზრუნავს. ეხლა სტუდენტთა საზოგადოებას გადაუწყვეტია საჩივარი აღძრას ხოლმე მოვალეთა წინააღმდეგ და სასამართლოს გადაწყვეტილებაც ადგილობრივ გაზეთებში გამოაქვეყნოს. საჩივრის აღძვრამდე საზოგადოება ორჯელ მოაგონებს მოვალეს და სთხოვს ფულის გადახდას.

✦ 16 ნოემბერს განსაკუთრებულმა საბჭომ ფინანსთა მინისტრის ვიტტეს თავმჯდომარეობით განაახლა სხდომები სასოფლო მეურნეობის საჭიროებათა გამოსარკვევად.

✦ ამ დღეებში პეტერბურგს მივა ამერიკელი მილიონერი ასტორი, რომელსაც 160 მილიონის შესძლება აქვს. ასტორს განუზრახავს სამეტალურგო საქმის დაწყება ციმბირში.

✦ 16 ნოემბერს 55 წელიწადი შესრულდა, რაც „ვესტნიკ ევროპის“ რედაქტორი სტასიულევიჩი საპედაგოგიო და საპუბლიცისტო მოღვაწეობას შეუდგა.

✦ მიწათ-მოქმედების სამინისტრომ თავის ხელ-ქვეით დაწესებულებებს გაუგზავნა განსახილველად ახალი დებულება დაბალ სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელთა შესახებ. ამ დაწესებულებათაგან აზრის მიღების შემდეგ დებულება სახელმწიფო საბჭოს წარედგინება განსახილველად.

პრესსა

„ჩერნ. ვესტნიკ“-ი დაბეჯითებით გაიძახის, საქალაქო არჩევნებზე ერთხელ გაშავებულთ ნება არა აქვთ კანონით მეორედ იყარონ კენჭი დამატებით არჩევნებზეო. გაიძახის და ირწმუნება, ამის შესახებ სენატის განმარტება არის საქალაქო დებულებაშიო. საკვირველი ის არის, რომ არც ერთხელ გაზეთს არ უჩვენებია, სახელდობრ სად მოსძებნა ეს განმარტება? ის კატეგორიულად ამტკიცებს: „სენატმა (იხილე „საქალაქო დებულება“ უკანასკნელი გამოცემა მისისა) კატეგორიულად გამოსთქვა თავისი აზრი, რომ მეორედ კენჭის ყრა იმავე საარჩევნო კრებაზე არ შეიძლებაო“. ამით ბ. პალმს, ცხადია, იმის თქმა უნდა, ვითომ მეორედ კენჭის ყრა უკანონობაა, მაგრამ ეს მტკნარი სიცრუეა: საქალაქო დებულებაში ამის შესახებ არაფერია ნათქვამი—არც აკრძალვა, არც ნებართვა. საქალაქო დებულებაში (მისის მე-4 გამოცემა) პირდაპირ ნათქვამია: „Въ Городовомъ Положеніи не содержится воспрещенія лицамъ, заболлатированнымъ на первоначальномъ избирательномъ собраніи, баллотироваться вновь на дополнительныхъ выборахъ“ (Сообщеніе мин. вн. д. 27 мая 1893 года №4804). ამ განმარტებიდან ნათლად სჩანს, რომ **კანონით** არ არის აკრძალული მეორედ კენჭი უყარონ იმათ, ვინც წინანდელს კრებაზე გაშავებული იყო. რომ ეს ასეა, მტკიცდება სხვა ქალაქების პრაქტიკითაც. ამას წინად ბაქოს საქალაქო არჩევნებზედაც ვერ აირჩიეს სამყოფი რიცხვი ხმოსნებისა და დამატებით არჩევნებზე კენჭი უყარეს გაშავებულთაც; ტფილისშიაც ასე მოხდა უკანასკნელ არჩევნებზე; აქ ქალაქის მოურავმა პირდაპირ განაცხადა, რომ **ვალდებულად ვთვლი თავის თავს კენჭი უყარონ ყველა გაშავებულთ, თუ ისინი თვითონ არ მოისურვებენ თავის ყუთის აღებას**. არც ბაქოში, არც ტფილისში საქალაქო საქმეთა საგუბერნიო საკრებულოს, რომელიც ვალდებულია კანონიერება დაიცვას საქალაქო საქმეებში, უკანონოდ არ უცვნია იმათი არჩევა დამატებით არჩევნებზე, ვინც წინაპირველ არჩევნებზე გაშავებული იყო. ასე რომ, კანონის მხრით აქ არავითარი დაბრკოლება არ არის და ბ. პალმი ტყუილად ცდილობს ვიღაცას მოტყუებას ან შეშინებას... „ჩერნომ. ვესტნიკ“-ის ხელმძღვანელს ის ვერ გაუგია ან განზრახ იკატუნებს თავს, რომ, როდესაც ამბობენ—იმავე საარჩევანო კრებაზე ორჯელ არ შეუძლიათ კენჭი იყარონო—სახეში აქვთ არა კანონის მოთხოვნა, არამედ ეთიკა, ზნეობრივი მოთხოვნა. ამ მხრით-კი **სხვა-და-სხვა შეხედულება** შეიძლება ვიქონიოთ. ზოგნი ამტკიცებენ, რომ მეორედ კენჭის ყრა გაშავებულის მხრით ეთიკის წინააღმდეგიაო, რადგან ერთხელ თუ არ მოინდომეს მისი არჩევა, მეორედ რაღად უნდა დაატანოს ძალა ამომრჩეველთაო. სხვები-კი, წინააღმდეგ ამისა, ამტკიცებენ, რომ მეორედაც უნდა იყარონ კენჭი გაშავებულებმა, რადგან შესაძლებელია ერთხელ გაშავებულნი უმჯობესები იყვნენ ახალ კანდიდატებზეო. ეს უკანასკნელი შეხედულება მით უფრო მართალია, რომ დიდ საარჩევანო კრებაზე, სადაც პარტიათა ბრძოლაა და სადაც შემთხვევასაც ხშირად აქვს ადგილი, ადვილად მოხდება, რომ ღირსეულები გაშავდნენ: მაშასადამე, რათ უნდა წაერთვას ნება ამომრჩეველთ გაასწორონ შეცდომა ან კიდევ თავისუფალი არჩევნები მოახდინონ გაშავებულთა და ახლად წამოყენებულ კანდიდატებს შორის?! ასეა ეს საქმე ეთიკის მხრით. მაგრამ რა საჭიროა ამაზე ლაპარაკი? განა პალმებს ეთიკასთან რამე საქმე აქვთ? მათი წადილია—თავისი გაიყვანონ და ამიტომ ხელზე იხვევენ ამგვარ გარემოებას და ყვირიან—უკანონობააო. ჩვენ ვნახეთ, რომ უკანონობა აქ არაფერია და „ჩერნომ. ვესტნიკ“-ის მაცადინეობა—ბათუმის ამომრჩეველნი დააშინოს, უბრალო ბაქა-ბუქი და უძლურების ნიშანია.

⁂

თავადი მეშჩერსკი მაინც თავისას გაიძახის! სწორედ „შესანიშნავი“ კაცია ეს თავადი! აბა, თქვენ თითონ განსაჯეთ: ის გულმოდგინეთ ყურს უგდებს, რას ამბობენ და რას თხოულობენ სამაზრო კომიტეტებში. სამოქალაქო უფლებათა გაფართოვებაო, თვით-

მმართველობის გაძლიერებაო, სხვა-და-სხვა შევიწროებათა მოსპობა—და ვინ იცის კიდევ, რას არ ამბობენ ამგვარს კომიტეტებში?! მაგრამ მეშჩერსკის ამისთანაების არაფერი სწამს; ხოლო თუ სადმე მისი საყვარელი „როზგი" ახსენეს, მაშინვე ყურებსა სცქვეტს. რომელსაღაც კომიტეტში უთქვამთ, გლეხებს „როზგი" არ უნდა" დაერტყასო; თავ. მეშჩერსკი ამას აუღელვებია და დაუწერია წერილი, რომლით ამტკიცებს, „როზგი"-კი არ უნდა მოისპოს, არამედ ამ მხრითაც „უფლებათა გაფართოვება და გათანასწორებაა" საჭიროო!

ერთხელო, სწერს საარაკო თავადი-ლიტერატორი, მე მოვიყვანე მაქსიმ გორკის სიტყვები მათრახის შესახებ; მაქსიმ გორკი სწერს, რომ რუსს მათრახი მოუხდებაო...

ცხადია, მაქსიმ გორკიც ჩემის აზრისაა, რომ „როზგის" მხრით სხვა წოდებანიც უნდა გაუთანასწორდნენ გლეხებსაო. გუშინ მე ვისაუბრე ამის შესახებ ერთ პატივცემულ პროფესორთან და ისიც ამგვარის აზრისაა.

— „როზგის" მოსპობა-კი არ არის საჭიროო, დაბეჯითებით სთქვა პროფესორმა, არამედ ამ სასჯელის გავრცელება ყველა წოდებაზეო. უნდა „გაიროზგოს" რკინის გზის უფროსი, თუ მის გზაზე რამე უბედურება მოხდა, უნდა „გაიროზგოს" გამგეობის წევრი, თუ ფული აწკაპნა და სხვა.

მაშ, გაუმარჯოს „უფლებათა" გაფართოვებას და ერთობას!!

ტფილისის «მამათა» დარბაზიდან

ოთხშაბათის სხდომაზე თავჯდომარეობდა ბ. ჩერქეზიშვილი, რადგან შესტაკოვი არ მოსულა.

ახალი ხმოსნები შეუდგნენ ძველ საბჭოსაგან ნაანდერძევ „საქმეების" განხილვას. „პიკანტნი" რაც იყო, გადადვეს, რადგან ყველა შესტაკოვს ეხებოდა და მის დაუსწრებლად არ მოისურვეს განხილვა. მაგრამ ერთი განხილული საქმე მაინც არ იყო მოკლებული ამ „პიკანტობას: ბ. ქოჩორიანცი უჩიოდა ქალაქის გამგეობას, რომ მისი საკუთარი ადგილი აქამდე საარენდო ადგილების რიცხვში უწერია. როგორც გამგეობის მოხსენებიდან სჩანს, ეს ადგილი ქალაქისა ყოფილა, ქალაქის ადგილების პლანში შეტანილი და აღნიშნული; მაგრამ რაღაც მანქანების ძალით ეს ადგილი ქოჩორიანცს ვიღაც ნაზაროვისაგან მოუგია სასამართლოში და ეხლა თავის საკუთრებად მიაჩნია. ხმ. თხორჟევსკის აზრით, სასამართლოს დადგენილება მაშინ იქნებოდა ქალაქისათვის სავალდებულო, რომ ქალაქს პროცესში მონაწილეობა მიეღო; ეხლა კი ეს დადგენილება სავალდებულო არ არის და ამიტომ ქოჩორიანცს უარი უნდა ეთქვას საჩივარზე. ამავე აზრის იყვნენ სხვა იურისტი ხმოსნებიც და საბჭოც მათ აზრს დაეთანხმა. საკვირველი იყო, რომ ქოჩორიანცი არა თუ საბჭოს დარბაზში იჯდა ამ საქმის განხილვის დროს, კამათშიაც მონაწილეობა მიიღო და კენჭის ყრაშიაც. მაგრამ ქოჩორიანცისაგან არაფერი არ უნდა გვიკვირდეს!

სენატის განმარტებით, ქალაქს თურმე უფლება არა ჰქონია გადასახადი დაადოს სოფლელებს ქალაქის მოედნებსა და ქუჩებზე ურმების დაყენებისათვის. საბჭოში ერთობ ბევრი იურისტებია და თუ ფრთხილად არ იქნენ, ხშირად საქმეს მეტად გააჭიანურებენ: სენატის განმარტება „ცნობაში" უნდა მიიღოს საბჭომ, თუ „სახელმძღვანელოდ" და „აღსასრულებლად"? ბოლოს გადასწყვიტეს, რომ უნდა მიიღონ „სახელმძღვანელოდ და აღსასრულებლად." იურისტებმა ბევრი ილაპარაკეს მეორე საქმის გამოც: ქალაქის ლომბარდის მწერალს ლაზარევს სიყალბე ჩაუდენია და 230 მანეთი მიუთვისებია; მაგრამ სიყალბის აღმოჩენისათანავე ყველაფერში გამოტეხილა და ფულებიც დაუბრუნებია. გამგეობას მაინც დაუდგენია ლაზარევის პასუხის გებაში მიცემა სიყალბის ჩადენისათვის. თხორჟევსკი წინადადებას აძლევს საბჭოს, დაკმაყოფილდეს ლაზარევის გამოტეხით და მითვისებულ ფულების დაბრუნებით; სასჯელად ისიც ეყოფა, რომ სამსახურიდან დაითხოვესო; მეტ სისასტიკეს ნუ გამოვიჩენთო, უცოდველი არც ერთი არ არისო. ასტყდა იურისტების ცხარე კამათი; ზოგი ამტკიცებდა, რომ უფლება არა აქვს საბჭოს, საქმე არ დაიწყოს ლაზარევის წინაამდეგ, ზოგი კი ამბობდა—დებულების ძალით ეს უფლება საბჭოს ეკუთვნისო. ხანგრძლივ კამათის შემდეგ საბჭომ დაადგინა, ნუ დაიწყებს საქმეს ლაზარევის წინაამდეგ.

დადგა ექიმების ჯერიც: საქმის მწარმოებლად ყოფილი გულიევი პენსიას თხოულობდა 23 წლის სამსახურისათვის, თან ექიმების მოწმობა წარმოადგინა, რომ მეტი მუშაობა აღარ შეუძლია. მოწმობა წაიკითხეს საბჭოში და ექიმებმა იმდენი ილაპარაკეს, რომ მართლა საექიმო საზოგადოებაში გეგონებოდა თავი, ერთის ხმოსნის არ იყოს. ბოლოს გულიევს დაუნიშნეს პენსია (600 მ.). მეორე ასეთივე საქმე: ბახტურიძის ქვრივი თავის ქმრის 23 წლის ნამსახურობისათვის შემწეობას სთხოვდა ქალაქს. გამგეობას 200 მ. ერთჟამიერი შემწეობა გადაუწყვეტია და საბჭოც დაეთანხმა, თუმცა ხუდადოვი სრულის საბუთით ამტკიცებდა, რომ ბახტურიძის ქვრივსაც ისეთივე, თუ მეტი არა, უფლება ჰქონდა პენსიაზე, როგორც გულიევს. ამ კითხვის გადაწყვეტამ ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა; იგი სავსებით ჰგავდა ძველ საბჭოს დადგენილებას ამისთანა შემთხვევაში: უფრო მსხვილ მოსამსახურეთ ერთის პრინციპის მიხედვით ეპყრობიან, წვრილებს კი სულ სხვა პრინციპის მიხედვით.

ახალ საბჭოს ეს დადგენილება ცუდი ნიშანია. რამდენიმე წვრილმანი საქმეები კიდევ განიხილეს და სხდომაც გათავდა.

თეატრი

ქართული წარმოდგენა. ვეინბერგის „მზეს მოკლებულნი" იმნაირი პიესაა, როგორც ჩეხოვის „დედა-მთვრალა" და „სამი და". ამ პიესების გაგება შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ ვიქონიებთ მხედველობაში რუსეთის საზოგადოებრივ ცხოვრებას. ამ ცხოვრებას შეუძლია მხოლოდ შეჰქმნას ისეთი ცოცხალ-მკვდარი ადამიანები, ისეთი მოწყენილი, სულ-შეხუთული არსებობა, როგორც ვხედავთ „მზეს მოკლებულთა" და ჩეხოვის პიესებში.

წარმოიდგინეთ პურიშევის ოჯახობა. პურიშევი (ბ. გედევანოვი) ძველი მოხელეა, მექრთამეობით თუ სხვა გზით ბევრი ფული შეუძენია, მაგრამ ძუნწია და ხელმოჭერილად სცხოვრობს. ავადმყოფი ადამიანია, თვითნება და დესპოტი, ყველაფერი მის ნებაზე უნდა კეთდებოდეს, მასთან ხმამაღლა ლაპარაკიც შეუძლებელია; ყოველივე მხიარულება განდევნილია მის ოჯახიდან; ისეთი ერთგვარობაა და მოწყენილობა ამ ოჯახში, რომ ადუღებულის სამოვარის შემოტანაც დიდი ამბავი და გასართობი რამ არის. ისე სიტყვას არ ეტყვის პურიშევი თავის ქალს ნადიას (ქ. გამყრელიძისა), რომ არ აატიროს. მისი რძალი ელენე (ქ. კარგარეთელი) იძულებულია მუდამ მის წინ იჯდეს და უკითხოს გაზეთები ან რომანები. ელენეს ქმარი ექიმია, გულკეთილი და პატიოსანი ადამიანი (ბ. გუნია), რომელიც ხედავს, თუ როგორი ცხოვრებაა მათ ოჯახში, მაგრამ იმას ურჩევს ცოლს, რომ უნდა შეურიგდეთ ამ მდგომარეობას, მოვითმინოთო. ნადიაც ღრმად მორწმუნე ადამიანია და მამის მორჩილება პირველ მცნებად მიაჩნია.

ასეთ მზეს მოკლებულ ცხოვრებას სლატოვმა (ბ. აბაშიძემ) და გოლიკოვმა (ბ. შათირიშვილმა) იმით გამოუცხადეს წინააღდეგობა, რომ ლოთობას მიჰყვეს ხელი და ღვინოში ივიწყებენ ცხოვრების სიმწარეს. სლატოვი და გოლიკოვი პურიშევის ოჯახს არ ეკუთვნიან, გარეშე პირები არიან, მაგრამ კარგად არიან გამოყვანილნი და მშვენივრად ასურათებენ პიესის უმთავრესს აზრს. ელენემაც ვერ გაუძლო ასეთს ყოფას. უნდა ადამიანურად, თავისუფლად ცხოვრება. ამით თავის მამამთილს ევედრება, მოგვეცი იმის ნახევარი, რასაც ანდერძით გვიტოვებ, რომ ჩვენს ნებაზე ვიცხოვროთო, და როდესაც გაჯავრებული პურიშევი არამც თუ უარს ეუბნება, სახლიდანაც გაგდებას ემუქრება და ანდერძითაც არაფერს დაგიტოვებთო, იგი მოსწამლავს მას. ამით თავდება მეორე მოქმედება და ეს ორი პირველი მოქმედება საუკეთესო ადგილია პიესაში.

პურიშევის მოწამვლა იცის მარტო ელენეს ქმარმა ევგენიმ. მამის სიკვდილის შემდეგ მან სრულებით დაჰკარგა სულის სიმშვიდე, არც მოსვენება აქვს, ვერც ლაპარაკს აბერხებს, ნახევრად გიჟია. ცოლი შეიძულა და ელენეც ვერ ჰბედავს მასთან ყოფნას, ევგენის უნდა საჯაროდ აღიაროს, რომ ჩვენ ვართ მამის მკვლელნიო. მერე პროკურორს ბარათს უგზავნის და ყველაფერს ატყობინებს, თვითონ თავს იკლავს. ელენე ჰხედავს, რომ ისევ დაბურულ ტყეში რჩება, ისევ მზეს მოკლებულია და გულ-შეწუხებული დაეცემა იატაკზე. პიესა საზოგადოდ კარგს შთაბეჭდილებას ახდენს.

რაც შეეხება წარმოდგენას, ჩვენ იშვიათად გვინახავს ქართულ სცენაზე ასე მშვენივრად წარმოდგენილი პიესა. ყველაზე უწინარეს უნდა აღვნიშნოთ ბ.ბ. აბაშიძე და შათირიშვილი, რომელთაც იშვიათის ხელოვნებით დაგვიხატეს ლოთის რუსის ტიპები. ჩვენ არას ვიტყვით ბ. აბაშიძეზე, რომლის ნიჭს ყველა იცნობს; ჩვენ გვინდა განსაკუთრებითი ყურადღება მივაქციოთ ბ. შათირიშვილის თამაშს. შეუძლებელია უკეთესი წარმოდგენა დაცემულის, დაჩაგრულის, დამონებულის, მაგრამ ღრმად კეთილის ადამიანისა; როდესაც გოლიკოვი—შათირიშვილი წინ წამოდგებოდა, რამე უბრალო აზრს იტყოდა (ეგონა კი, რომ სიბრძნე ვსთქვიო) და მოწიწებით დაბრუნდებოდა ისევ თავის ადგილზე, ან როდესაც სლატოვის ერთის თითის გაქნევაზე შეკრთებოდა და ხმა ჩაუვარდებოდა, მაყურებელი ღებულობდა სრულს ილუზიას და სცენაზე ჰხედავდა ნამდვილს ადამიანს და არა აქტიორს-მოთამაშეს. არ გვეგონა, თუ ქ. კარგარეთელი ასეთს ძალას გამოიჩენდა დრამატიულს როლებში და მით უფრო მეტის სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ, რომ მისი თამაში კარგი იყო, ზოგიერთ ძლიერს ადგილებში კი (მაგალ., მეორე მოქმედებაში, პურიშევს რომ შეებრძოლება და მერე ქმარს რომ ეტყვის, მე მოვწამლე მამაო) მშვენიერიც. ბ. გუნია თუ საზოგადოდ ყველა როლს კარგად ასრულებს—არ ახდენს, მას აქვს თავისი საკუთარი როლები, რომლებიც შეუძლია შეითვისოს, სისხლით და ხორცით შემოსოს და წარმოგვიდგინოს ცოცხალ არსებებად. ასეთი როლი იყო მისთვის ევგენი ვეინბერგის პიესაში. ბ. გუნია იყო რეალი, უნაკლულო მაშინ, როდესაც წარმოგვიდგენდა წყნარს, მშვიდს და კეთილს ქმარს და შვილს, და მაშინაც, როდესაც ნერვები აეშალა და ნახევრად გაგიჟებული იყო.

კარგის მეტი სხვა არაფერი გვეთქმის სხვა მოთამაშეებზედაც. კარგები იყვნენ ბ. გედევანოვი, ქ. გაბუნია-ცაგარლისა და სხ.

პიესის ენა კოჭლობდა. არ ვიცით: ეს აქტიორების ბრალია, თუ პიესის მთარგმნელისა.

გ.

—

სახალხო წარმოდგენები ავლაბარში. ამა წლის 17 ნოემბრიდან დაიწყო მოქმედება ავლაბრის სცენის მოყვარეთა დასმა (მურაშკოს თეატრში), რომელსაც აზრადა აქვს ჭმართოს სახალხო, ყველასათვის ხელ-მისაწვდენი, იაფ-ფასიანი წარმოდგენები (ფასები 10—90 კაპ.) შაბათობით, კვირა დილაობით (11 საათზეა დასაწყისი), კვირა საღამოობით და დღესასწაულებში. რეჟისორად მოწვეულია იმედაშვილი, რომლის ხელმძღვანელობითაც უკვე გაიმართა ერთი წარმოდგენა („პეპო" და „დატრიალდა ჯარა") 17 ნოემბერს. დაესწრო დიდ-ძალი საზოგადოება. მეორე წარმოდგენა („რაც გინახავს ვეღარ ნახავ" და „ჭკუისა მჭირს") 23 ნოემბერს, შაბათ საღამოს გაიმართება; მომავალ კვირის დილისთვის წარმოსადგენად დანიშნულია „ციმბირელი". როგორც შევიტყვეთ, რეპერტუარი უკვე შედგენილია განსაკუთრებით სახალხო პიესებისაგან, რომელთ შორის მოქცეულია ახალი პიესებიც. ამ ცოტა ხანში წარმოდგენილი იქმნება: „დაქცეული ოჯახი", „ხანუმა", „ხათაბალა", „ფული და ხარისხი", „დედაკაცმა აგვირია", „ოსკან პეტროვიჩი საიქიოს", „გაცრუებული იმედები" და სხვ. ამავე მურაშკოს თეატრში იმართება რუსული და სომხური წარმოდგენებიც. დიდის მადლობის ღირსია ბ-ნი მურაშკო, ავლაბრის განაპირა უბანში თეატრის აშენებისათვის. ვინ იცის, ამ უბნის მცხოვრებნი წელიწადში ერთხელ არც-კი ეღირსებოდნენ წარმოდგენაზე დასწრებას, ეხლა-კი შემთხვევა ეძლევათ კვირაში ერთხელ მაინც იარონ თეატრში. ამ უბანში დიდი ხანია საჭირო იყო თეატრი, რადგანაც მომეტებულად მდაბიო ხალხი სცხოვრობს და უქმე კვირა-დღეობით სამიკიტნოებში ატარებს დროს, სადაც ჰფლანგავს ოფლით ნაშოვნ ფულს.

კამათელი.

ტფილისის მოქალაქეთა რწმუნებულების საზოგადო კრება

21 ნოემბერს სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების სადგომში კრება ჰქონდათ მოქალაქეთა რწმუნებულებს 15 ნოემბრის კრებაზე დარჩენილ საქმეების განსახილველად. წაკითხულ იქმნა ოქმი. რწმუნებულმა მახარობლიძემ მოითხოვა ოქმში შეეტანათ, რამდენი იყო მომხრე იმის თანამდებობიდან დათხოვნისა და რამდენი წინააღმდეგი. ხანგრძლივის კამათის შემდეგ, ოქმი დამტკიცებულ იქმნა. შემდეგ განაგრძეს ხარჯის ამკრებ მამასახლისის თანაშემწეთა მოქმედების განხილვა. რადგანაც პოპოვმა, გრიქუროვმა, მამედბაირამ-ოღლიმ, ფელკშტეინმა და ბელიაევმა ითხოვეს სამსახურიდან განთავისუფლება, კრებამ გადასწყვიტა განთავისუფლოს ისინი და იმათს ადგილას კანდიდატები მოიწვიოს. კარგა ხანს კამათი გამოიწვია რამდენისამე კაცის თხოვნამ იმის შესახებ, რომ მიღებულ იქმნან ისინი მოქალაქეთა წრეში. ზოგმა განაცხადა, რომ მოქალაქეთა წრეში მისაღებად კომისიამ შეიმუშავა წესი, კარგი იქმნება ჯერ ეს წესი განვიხილოთ და მივიღოთ სახელმძღვანელოდ და შემდეგ განვიხილოთ თხოვნებიც. სხვები წინააღმდეგნი გაუხდნენ ასეთს მოსაზრებას; მთხოვნელი 17 კაცამდეა, კარგა ხანს უცდიან თხოვნების განხილვას; იმათ თავიანთ ვინაობის შესახებ საბუთები არა აქვთ და პოლიცია ძალიან აწუხებსო. კრებამ გადასწყვიტა მიიღოს მთხოვნელნი მოქალაქეებად.

ა. აღამიძე. წარსულ კრებაზე სარევიზიო კომისიის თავმჯდომარემ ზალიევმა წარმოადგინა განსახილველად მოხსენება სარევიზიო კომისიისა. კომისიამ დაავალა მასალის გადათვალიერება და მოხსენების წარმოდგენა. მე, როგორც კომისიის წევრს, მინდა მუშაობას შევუდგე და გთხოვთ, თავმჯდომარევ, აგვიხსნათ, სად არის ის საქმეები. როგორც გავიგე, ჩვენის დადგენილების წინააღმდეგ ზალიევს მოხსენება უკვე წარუდგენია გუბერნატორისათვის. მართალია ესა, თუ არა?

ბულდანოვი. ის ქაღალდები სტოლზე მქონდა. ვნახე, იქ აღარ იყო; როცა მოვიკითხე, ზალიევმა მითხრა, მე წავიღე გუბერნატორთან წარსადგენადაო.

ლანდუროვი. ძალიან სამწუხაროა, რომ ჩვენმა მოურავმა ყურადღება არ მიაქცია ამ საქმეს და დაუკითხავად ზალიევს საქმეები გაატანა. კრებამ ეს გარემოება შეცდომად უნდა ჩასთვალოს და სთხოვოს გუბერნატორს, დაგვიბრუნოს განსახილველად საქმეები.

ზალიევი. მე საქმეები განსახილველად წარმოგიდგინეთ, თქვენ ყურადღება არ მიაქციეთ; იძულებული ვიყავი ეს საქმეები მოქალაქეთა გამგეობის რევიზორის ბარანოვსკისათვის წარმედგინა.

ბევრმა უკმაყოფილება განაცხადა და სთქვა, ვისაც უნდა, უკითხავად გამგეობიდან საქმეებს გაიტანსო; რატომ ბულდანოვმა ოქმი არ შეუდგინა მაშინათვეო? სხვებმა მოითხოვეს, ზალიევი სრულიად გამოირიცხოს რწმუნებულის თანამდებობიდან.

ხოსროევი. როგორ შეიძლება! ზალიევმა მაგისთანა დანაშაული რა ჩაიდინა? ჩვენ ვითმენთ იმას, რომ ჩვენ შორის სახელ-გატეხილი კაცი ზის და ზალიევის გამორიცხვა კი გვინდა.

მახარობლიძემ და ტარიელოვმა ითხოვეს, დაასახელოს ხოსროევმა, ვის ეძახის სახელ-გატეხილს.

ხოსროევი. ეს გახლავთ ჯილიაევი.

გაცხარებულმა ჯილიაევმა მოითხოვა ოქმში შეეტანათ ხოსროევის სიტყვები. შეიქმნა ერთი ხმაურობა და ჩოჩქოლი. ბულდანოვი, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ზარს აწკარუნებდა. შემდეგ კამათი გაგრძელდა კიდევ დიდხანს ზალიევის მოქმედების შესახებ. ზოგმა ზალიევის გამორიცხვა მოითხოვა.

ლანდუროვი. უფლება არა გვაქვს გამორიცხვისა, რადგანაც გუბერნატორის დამტკიცებულია და 60 ათას.მდე მოქალაქის ამორჩეული. ჩვენ გადავსწყვიტოთ, რომ ზალიევი ასეთ მოქმედებისათვის განკიცხვის ღირსია და იმას ადგილი არ უნდა ჰქონდეს ჩვენს წრეში. ასეთს გადაწყვეტილების შემდეგ თითონ წავა საზოგადოებიდანაო. კრება დაეთანხმა ლანდუროვს და მიიღო მისი წინადადება. წვრილმანი საქმეების განხილვის შემდეგ კრება დასრულდა ღამის 12 საათზედ.

წერილი შიდა ქართლიდან

ამინდები და მოსავალი.—უგზოობა.—ქურდობა.—სასამართლოს სიშორე.

წრევანდელისთანა არეულ ამინდებს ჯერ არ მოვსწრებივართ. გაზაფხულზე ერთბაშად დათბა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემდეგ შეიცვალა ტაროსი, დაჰკრა რთვილმა და მთლად დაასხმო ხეხილი, დააზიანა უფრო ვაზი. ზაფხულში პირველად წვიმებმა წალეკეს არემარე, შემდეგ დაიჭირა გვალვა და ვენები დაასხმო. ზოგიერთა სოფლებში სეტყვაც იყო, მაგრამ ყველაზე მეტად ამ სეტყვა-ნიაღვარმა დააზარალა დ. ცხინვალი, ერედვი, გუჯაბაური და თამარაშენი. შემოდგომის პირზევე აცივდა—გამოუშვა ყინვა და დავაჩქარეთ რთველი. ჩავირთველეთ და ათ კოკაში ოთხი-ხუთი კოკა-ღა გამოგვივიდა, ისიც კოწმახი, მჟავე. ნიგოზს და სხვა ხილს ხომ დანატრულებულნი არიან შუა ქართლელები. მიიწურა შემოდგომა და უფრო საშინელი ყინვები გამოუშვა: დაჰყინა რუები, გაჩერდნენ წისქვილები და მოჰყვა თოვლას. თოვლი ნახევარ არშინამდე მოვიდა, საშინლად აცივდა და ამ უკანასკნელ დროს რომ არ ჩამომთბარიყო და წისქვილები არ აბრუნებულიყო, ჩვენი გლეხობა ღვთის ანაბარა დარჩებოდა. გლეხებს რაც რამ ებადათ, ქორწილებში დახარჯეს, დაანახევრეს მთელი წლის სარჩო-საბადებელი. ქორწილებში ყანწ-ჯამების ტრიალი გაჰქონდათ, მაყრულს და „ლავარჯამიერს" დამღეროდნენ და „ზარფუშ" გახურებულნი ხანჯალ-კეტებს ატრიალებდნენ, ხვალ-კი მშივრები უნდა ისხდნენ...

ქართლისთანა ცუდი გზები არა მგონია სხვაგან იყოს სადმე. ცხინვალამდე მიმავალი ფოსტის გზა უვარგისია; ქარელიდან მეორე გზა ცხინვალამდე ხომ წყალ-წაღებულია. აქეთაც დილიჟნები დაიარებიან და „ძალად მაცხოვნეო" სწორედ ამაზე იტყვიან. თხრილები, ოღრო-ჩოღრო გზა, ბოგირებ ჩანგრეული და მუხლზე ტალახი მოგზაურს უწამლავს სიცოცხლეს. ხშირად კეტის ცემითაც უნდო საქონელს ძვრას ვერ უზამენ ხოლმე, რადგანაც დილიჟანში ხუთი-ექვსის მგზავრის მაგივრად, ათი-თორმეტი ზის და ბედაურ ცხენების ნაცვლად კოჭლი, ბრმა და გამხდარი ცხენები აბია...

ამ ბოლოს დროს გახშირდა ეკკლესიების ტეხა ძარცვა. ამ შემოდგომაზე სამის კვირის განმავლობაში გასტეხეს შვიდი ეკკლესია: ცხინვალში—ზღუდრის ეკკლესია, წუნარს, დღვრისსა და სხვ. ქურდები ბოქაულმა აღმოაჩინა და დააპატიმრა—ოსები ყოფილან. აქამდის თუ ცხინვალს უჩიოდა სიშორეს გლეხი, დღეს იგი უნდა გორში წავიდეს ოცდა ხუთის ვერსის სიშორეზე, რადგანაც სასამართლო ცხინვალიდან სამხრეთ სოფლელთათვის გორში გადაიტანეს და რა ჰქმნას საბრალო ხალხმა, სად იწოწიალოს იმ სიშორეზე და როგორ უჩივლოს გორში, როდესაც ჩასვლა-ამოსვლა უფრო ძვირად უჯდება.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

20 ნოემბერი

სმოლენსკი. სასოფლო მეურნეობის საზოგადოებათა საგუბერნიო კომიტეტის კრებები დაიწყო. გაცხარებული ბაასი გამოიწვია ხომიაკოვის მოხსენებამ, რომელიც ამტკიცებდა მრეწველობა დავარდაო, და შარაპოვის სიტყვამ ოქროს ვალიუტის შესახებ. კრებამ მიიღო მურომცევის წინადადება, ქალთათვის უმაღლესი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი დაარსდესო.

ვარშავა. მობრძანდა დიდი მთავარი კონსტანტინე კონსტანტინეს ძე.

სუვოროვსკი კორპუსის ეკლესია დიდის მთავრის კონსტანტინე კონსტანტინეს ძის თანადასწრებით უნდა აკურთხონ.

რომი. პაპის უფროსი კამერჰერი დიდ მთავარ სერგი ალექსანდრეს ძესთან იყო და მიართვა პაპის სურათი პაპის საკუთარის ხელით ზედ-წარწერით.

პარიზი. პრეზიდენტმა ლუბემ დიდი მთავარი ვლადიმირ ალექსანდრეს ძე მიიღო სამხედრო პატივისცემით. დიდი მთავარი ქბ.-ნ ლუბესთანაც იყო. ლუბე სადარბაზოდ იყო დიდს მთავართან.

პეტერბურგი. გაზეთების ცნობა შესახებ იმისა, რომ სავაჭრო ნავოსნობის უმთავრესი სამმართველო დიდის მთავრის პავლე ალექსანდრეს ძის სასახლეში მოთავსდებაო—სიმართლეს მოკლებულია.

ვარონეჟის გუბერნატორი სლეპცოვი, თანხმად მისის სათხოვრისა, თანამდებობიდან დაითხოვეს და სამინისტროს მიაწერეს.

21 ნოემბერი

ვაშინგტონი. სენატს წარუდგინეს კანონპროექტი, რომლის ძალით ტრესტების ნაწარმოებით ვაჭრობა ჩრდილო ამერიკის შეერთებულ შტატებს შუა აღკრძალული უნდა იქმნეს.

ლონდონი. ვაჭრობის მინისტრმა გამოაცხადა დეპუტატთა პალატაში: საშაქრე კონვენციაში ინგლისმა შეირჩინა პრინციპიალი თავისუფლება იმ შემთხვევისათვის, რომ იმის კოლონიებიდან გამოზიდულ შაქარზე სასტიკი ბაჟის დადება შეიძლოს; ჰშიშობენ, რომ ამას არ დაჰზნებდებიან კონვენციის დანარჩენი მონაწილენი.

ბერლინი. რეიხსტაგმა დაიწყო სატამოჟნო ტარიფებისა და კარდორფის წინადადების განხილვა.

ლონდონი. ოფიციალად გამოცხადდა შანხაიდან ჯარების გაყვანის შესახები მიწერ-მოწერა. ინგლისის ელჩი სატოუ ატყობინებს გარეშე საქმეთა მინისტრს, რომ ვიცე-კოროლი თხოულობს, შანხაი ერთ დროს დაიცალოს უცხოელების ჯარებისაგან და ტიანძინიც დაუბრუნდეს ჩინეთსაო. სახელმწიფოები თანახმანი იყვნენ, 1 ლ ნოემბერს დაეცალათ შანხაი და ამის თაობაზე დაეკითხნენ იაპონიასა, საფრანგეთსა და გერმანიას—თანახმანი არიან თუ არა ამ ვადაზე გაიყვანონ თავიანთი ჯარები. ლანსდოუნს პირველ ორისაგან თანხმობა მიუღია; გერმანიას შემოუთვლია: თანახმა ვიქნები, თუ წინ-და-წინვე იმის განკარგულებას მოახდენთ, ჯარები ერთად გავიდნენ შანხაიდანო. თუ რომელიმე სახელმწიფომ კიდევ მოინდომა იქ ჯარების შეყვანა, მეც ამისთანავე უფლებას დავიტოვებ და ამ გვარადვე მოვიქცევიო. ინგლისის ვიცე-კოროლი პირობას იძლევა, არც ერთს სხვა სახელმწიფოს განსაკუთრებული შეღავათი არ მისცეს არც პოლიტიკური, არც სამხედრო, საზღვაო და ეკონომიური. ეკონომიურ შეღავათები იმ აზრით ესმის გერმანიას, რომ არავის განსაკუთრება არ უნდა ჰქონდეს და ყველა სახელმწიფოსათვის თავისუფალი და თანასწორ-უფლებიანი კონკურენცია დარჩესო. ლანსდოუნი თანახმაა პირველისა და მეორე მოთხოვნილებისა, მაგრამ წინააღმდეგია მესამესი. ინგლისი უზრუნველად სთვლის ამ უფლებებს სახელმწიფოთა შორის არსებულის ხელშეკრულობებით. ლანსდოუნი იმის წინააღმდეგია, რომ ეს პირობანი შეთანხმებით შეიცვალოს, რადგან ამ შეცვლას დიდი ზედ-გავლენა ექმნება სახელმწიფოების ერთმანერთ შორის ეკონომიურსა, პოლიტიკურსა, სამხედროსა და საზღვაო დამოკიდებულებაში. გერმანიის ელჩს უცნობებია, რომ გერმანია მესამე მუხლზე უარს აღარ ამბობს, იმიტომ რომ ჩინეთმა გარანტია აღუთქვაო. იაპონიამ განაცხადა, 22 ნოემბერს გავიყვან ჩემ ჯარებს შანხაიდან, მაგრამ თუ სხვა სახელმწიფომ თავისი ჯარი შეიყვანა იქ, მეც ამისავე უფლებებს შევირჩენო. ლანსდოუნმა გამოაცხადა, ინგლისი პირველ შემთხვევისთანავე გაიყვანს თავისს ჯარსაო.

ოდესა. ოდესისკენ მიმავალი სახალხო მატარებელი საქონლისას დაეჯახა სადგურ ზატიშიეზე: მგზავრთა ერთი ვაგონი დაიმტვრა, კონდუქტორი მოჰკვდა, ერთი მგზავრი დაიჭრა.

პეტერბურგი. დედოფალი მარიამ თეოდორეს ასული 20 ნოემბერს რუსეთისაკენ წამობრძანდა.

— მანჯურია ხოლერისაგან თავისუფალია.

სოფია. მთავარმა მისალოცი დეპეშა მიიღო მინისტრთა საბჭოსაგან, საერო საკრებულოსა და ბევრ სხვათაგან.

— გაზეთები სავსეა მაკედონიაში ახალ შეტაკებისა და დაზარალებულთა გადმოსახლების შესახებ ცნობებით.

მადრიდი. საგასტამ დათხოვნის ქაღალდი წარადგინა; გადადგომის მიზეზად იმას ასახელებს, რომ მოწინააღმდეგე დასები ნდობას არ მიცხადებენო. მეფემ ითხოვა: 24 საათი მადროვეთ, ვიფიქროო.

კონსტანტინოპოლი. იტალიის ელჩს თათბირი ჰქონდა გარეშე საქმეთა მინისტრთან იმ საშუალებათა შესახებ, რომელიც ოსმალეთმა მაკედონიისათვის გამოაცხადა, და ის აზრი გამოსთქვა, რომ ევროპის ნაწილ ოსმალეთში ამ საშუალებებს მაშინ ექმნება ნამდვილი ძალა და მნიშვნელობა, თუ ისინი იქაურ საჭიროებებს მართლა დაკმაყოფილებენო.

22 ნოემბერი

პეტერბურგი. გარდაიცვალა რუსულ ოპერის არტისტი სტრავინსკი.

ათინა. მეფემ დელიანისს დაავალა ახალ სამინისტროს შედგენა.

ლონდონი. „ლურჯს წიგნში" სწერია: გერმანიის მთავრობამ მიიღო ჩინეთის მთავრობის განცხადება, რომ ჩინეთი თავისს უზენაეს უფლებათ არავის დაუთმობს და არც ერთს სახელმწიფოს არ მიანიჭებს უპირატესობათ. მეტერნიხის ნოტაში აღნიშნული შეღავათნი მთელს ჩინეთზე არიან გავრცელებულნიო.

ლაზოვაია. ყინვაა. რკინის გზის ტელეგრაფის მავთული ყინულისაგან დამძიმდა და რამდენსამე ვერსტის მანძილზე გაწყდა. პეტერბურგში მიმავალი სწრაფი მატარებელი სადგურ ზაიცევოზე 12 საათს გაჩერეს.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

15 ოქტომბრიდან 15 მაისამდე

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში-კი—ტფილისისა)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს:—1) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 20 წ. (8 ს. 18 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 8 ს. 50 წ. (9 ს. 48 წ.).

ბაქოს:—1) საფოსტო № 4 დილის 11 ს. 5 წ. (12 ს. 3 წ.); 2) სამგზავრო № 6 საღამოს 9 ს. 11 წ. (10 ს, 9 წ.); 3) სწრაფი № 20 (სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე)—დილის 7 ს. 18 წ. (8 ს. 16 წ.).

ყარსს:—1) საფოსტო № 7 /71 საღამოს 10 ს. 29 წ. (11 ს. 27 წ.); 2) სამგზავრო და საქონლისა № 74/75 დილის 11 ს. 30 წ. (12 ს. 28 წ.).

მიხაილოვოსა და ბორჯომს:—სამგზავრო № 7 ნაშუადღევის 1 ს. 52 წ. (2 ს. 50 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ:—1) საფოსტო № 4 საღამოს 9 ს. 54 წ. (10 ს. 52 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 50 წ. (8 ს. 48 წ.).

ფოთისაკენ: საღამოს 11 ს. 23 წ. (12 ს.21 წ.)

გ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ:—1) საფოსტო № 3 საღამოს 11 ს. 45 წ. (12 ს. 43 წ.); 2) სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 2 ს. 42 წ. (3 ს. 40 წ.); 3) სწრაფი № 19 (მარტო ტფილისამდე) (პარასკეობით, პირდაპირ მოსკოვიდან მოსული)—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო ტფილისისაკენ:—ღამის 1 ს. 40 წ. (2 ს. 38 წ.).

ბათუმისაკენ:—1) ღამის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.); 2) ნაშუადღევის 4 ს. 10 წ. (5 ს. 8 წ.)! 3) საღ. 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

ფოთისაკენ:—ღამის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.).

ე) ფოთიდან გამოდის:

რიონ-ქუთაისამდე:—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.)

სამტრედია-ბათუმამდე:—ნაშუადღევის 3 ს. 27 წ. (4 ს. 25 წ.).

სამტრედია-ბაქომდე:—საღამოს 10 ს. 49 წ (11 ს. 47 წ.). და საღამოს 11 ს. 30 წ. (12 ს. 28 წ.).

განცხადებანი

17 ნოემბერს, საღამოს 4—5 საათზე, როდესაც ტატიანეს ქუჩიდან ვერის ხიდით გოლოვინის პროსპექტზე საარტისტო საზოგადოების სახლში მოვდიოდი,

ეტლში დამრჩა ქაღალდები.

მნახველს ვთხოვ სამექანიკო ქარხანაში წარადგინოს და კარგ ჯილდოს მიიღებს.

(1—1) ინჟინერი კარაპეტოვი

ქუთაისში

სამ. ბ. თოფურიას

სამკურნალო,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მზრუნველობის ქვეშ.** სამკურნალოშია 60 საწოლი შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს. (0—59)

ტფილისის ქალაქის

გამგეობა

საყოველთაოდ აცხადებს, რომ ამა ნოემბრის 29-ს, შუადღის პირველ საათზე, გამგეობის თანადასწრებით **მოხდება საჯარო ვაჭრობა**, რომელზედაც იჯარით გაიცემა ხელ-ახლად შეკეთებული ქარვასლა შიოევისეულ სახლში, მე-6 ნაწილში, აბანოების უბანში.

პირობების განხილვა შეიძლება გამგეობის მე-4 განყოფილებაში ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 9-დან ნაშუადღევის 3 საათამდე, (2—2)

ხ ი ს

ნახშირის საწყობი

იაგორ მამინაიშვილისა

(საკუთარი ტყიდან)

კერის მოედანზე, ყაფანთან

ისყიდება საუკეთესო გაცხავებული და მშრალი **ნახშირი.**

შინ მიტანით 1 ფუთი 40 კაპ.).

ტელეფონი № 754. (წ.).

ცინკოგრაფია

ტიფლ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა

განქის დიდი ქუჩა, № 27, ტელეფონი № 37¼.

კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიული სურათებიდან და ხელით ნახატებიდან.

ПОДПИШИТЕСЬ НА „ТОРГОВО-ПРОМЫШЛЕННЫЙ ЛИСТОКЪ"!

Всѣмъ и каждому, кто только пожелаетъ когда нибуть **продать** или **купить недвижимость** будетъ необходимъ „ТОРГОВО-ПРОМЫШЛЕННЫЙ ЛИСТОКЪ объявленій", стоющій всего только ДВА РУБЛЯ ВЪ ГОДЪ СЪ ПЕРЕСЫЛКОЮ.

„ВРЕМЯ—ДЕНЬГИ!" Поэтому редакторъ-издатель „ЛИСТКА", онъ же учредитель Московской Комиссіонной Конторы для „частныхъ дѣлъ"—А. Н. Виноградовъ, желаетъ дать читателямъ газеты богатый матеріалъ, состоящій въ АЛФАВИТНОМЪ ПЕРЕЧНѢ ЛИЦЪ, желающихъ продать или купить гдѣ либо недвижимость, при чемъ въ газетѣ будутъ ПОДРОБНО СООБЩЕНЫ адреса, маршруты, описи, планы, условія—словомъ, ВСѢ ДЕТАЛИ, которыя были и будутъ только извѣстны Комиссіонной Конторѣ, что дастъ возможность БЕЗЪ СНОШЕНІЯ СЪ КОНТОРОЮ входить продавцамъ и покупателямъ ВЪ НЕПОСРЕДСТВЕННЫЯ СОГЛАШЕНІЯ.

ГРОМАДНЫХЪ РАСХОДОВЪ потребовала за четыре года практика Комиссіонной Конторы! По самой природѣ единоличнаго комерческаго предпріятія въ немъ ИНТЕРЕСЪ всегда НЕРАЗДѢЛЕНЪ съ РИСКОМЪ, и ради успѣха НАПРЯГАЮТСЯ ВСѢ СИЛЫ; поэтому приходится часто мѣнят образъ дѣйствій въ зависимости отъ времени и условій... **XX**-й ВѢКЪ стремится къ БЫСТРОТѢ и УПРОЩЕНІЮ дѣловыхъ сношеній, вотъ почему и „Торгово-Промышленный Листокъ" станетъ теперь уже драгоцѣннымъ и насущнымъ для всѣхъ ПЕРЕДВИЖНЫМЪ **адресъ-календаремъ СПРОСА и ПРЕДЛОЖЕНІЯ**, такъ что кто желаетъ купить или продать ИМѢНІЕ, ДОМЪ, ЗЕМЛЮ или ВЗЯТЬ ДЕНЕГЪ ПОДЪ ЗАЛОГЪ НЕДВИЖИМОСТИ, пусть ВСЕГДА и ПРЕЖДЕ ВСЕГО выпишетъ „Торгово Промышленный Листокъ объявленій", который въ громадномъ количествѣ расходится преимущественно СРЕДИ ДѢЛОВОЙ РОССІИ.

Цѣна подп. 2 рубля въ годъ

Такса за объявленія:

За строку петита на 1-й стран. . . . . 60 коп.

На послѣдующихъ . . . . 40 коп.

Адресъ редакціи: Москва, Сухорева площ., д Виноградова. Телеф. 1615.

Цѣна подп. 2 рубля въ годъ

(შ. 3—1)

ნუშის კრემი გოლდენდერ

(Créme d'amandes)

ხელ-პირის საბანად საპნის მაგიერად იხმარება ნუშის ნაფხვენი. ვურჩევთ ყველას, ვისაც კი ნაზი პირის კანი აქვს და საპნის ხმარებას ვერ ჰგუობს. ნუშის კრემი არა ჰხდება. ამასთანავე ვინც ნუშის კრემსა ჰხმარობს, პირის კანი დიდ-ხანს ნაზად და ქორფად ენახება. ბანკა ჰღირს 30 კაპ., 60 კ., 1 მ. ისყიდება რუსეთის ყველა სააფთიაქო და საპარფიუმერო მაღაზიებში. **უფროსხილდით ნიღაბზედა და მსგავსებას.** სავაჭრო სახლი **„პარფიუმ. ლაბორატ. ი. გოლდენდერი". პეტერბურგში, რაზიეზჟაია, 13.** (5—3)

Дозв. ценз. Тифлисъ, 22 Ноября, 1902 г. ელექტრონის სტამბა წიგ. გამომ. ქართ. ამხ. (Электропеч. Груз. Издат. Т—ва).